



ოქმი:ო12.37203561

თარიღი:21/12/2020

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2020 წელი, 18 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლ.საჯაია მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ.ზოიძე, ლ.სიჭინავა, ალ.ღლონტი, ხ.ცერცვაძე, ვ.ჩიგოვიძე, ნ.ორაგველიძე, ლ.ბიგვავა, დ.მდინარაძე,

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. “ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ლ.საჯაია

თანამომხსენებელი: გ.მამაკაიშვილი

თანამომხსენებელმა გ.მამაკაიშვილმა მოკლედ ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე, რომელმაც აღნიშნა, რომ ძირითადი ცვლილებებია - საქართველოს მთავრობის N2630 განკარგულებით ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის 425205 ლარის დამატებით გამოყოფა, მუნიციპალური მომსახურების ცენტრის დამატებით დაფინანსება 200 ათასი ლარით და კურორტ გომისმთის განაშენიანების გენერალური გეგმის შესამუშავებლად ასიგნების - 100 ათასი ლარის გამოყოფა გაეროს განვითარების პროგრამის გრანტიდან. შემდეგ უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრმა მ.ზოიძემ დასვა შეკითხვა - საახალწლო ღონისძიებათა თაობაზე. რაზედაც გ.მამაკაიშვილისაგან მიეცა შესაბამისი განმარტება. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: ლ.საჯაია

თანამომხსენებელი: გ.მამაკაიშვილი

კომისიის წევრებმა მოისმინეს თანამომხსენებლის გ.მამაკაიშვილის

მოხსენება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებზე, შემოსულობებსა და ხარჯებზე, აღინიშნა, რომ ობიექტური მიზნების გამო ბიუჯეტი მნიშვნელოვნადაა შემცირებული, შემდეგ კონკრეტულად განიხილა განათლების, სპორტის და სოციალური პაკეტების დაფინანსება, განათლებაში სულ ჩადებულია 4,5 მილიონი ლარი, მათ შორის ზოგადი განათლების ხელშეწყობის მუხლში 150 ათასი ლარი. წარჩინებული აბიტურიენტების დაჯილდოებაში 60 ათასი ლარი, მნიშვნელოვანი თანხებია გამოყოფილი გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის. თუმცა სხდომის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ ბევრი ინიციატივა დარჩა დაუფინანსებელი. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლ.საჯაია

თანამომხსენებელი: ირაკლი სირაძე

თანამომხსენებელმა ი.სირაძემ მოკლედ ისაუბრა დადგენილებაში შეტანილ ძირითად სიახლეებზე. შემდეგ უპასუხა შეკითხვებს. კომისიის წევრმა ლ.სიჭინავამ დასვა საკითხი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტ ნ.გარაყანიძის ფინანსური დახმარების თაობაზე. ი.სირაძემ დაავალა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს გამოიხილოს თანხები ერთჯერადად სტუდენტის სწავლის საფასურის დარჩენილი ნაწილის დაფინანსებისათვის. უპასუხა შეკითხვას სახელმწიფო ზრუნვას მოკლებული 18 წლის ახალგაზრდების ფინანსური დახმარების თაობაზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

4. კომისიაში შემოსული წერილის შეწასახებ.

მომხსენებელი: ლ.საჯაია

კომისიის წევრებმა იმსჯელეს მოქალაქე მაგული მამარდაშვილის წერილზე, რომელიც ითხოვდა სოციალური ტაქსის მუშაობის მომავალი წლის ბიუჯეტში დაფინანსებას, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ი.სირაძემ განაცხადა, რომ მართალია მიმდინარე წელს სოციალური ტაქსი ემსახურებოდა 9 ბენეფიციარს, მაგრამ 2021 წელში მოთხოვნილი დიდი თანხის გამო, მუნიციპალიტეტმა უარი განაცხადა მასზე და თავად ბენეფიციარებს გაუზარდა დაფინანსება. კომისიის წევრების გადაწყვეტილებით წერილი გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას რეაგირებისათვის.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების პროექტები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. მოქალაქე მ.მამარდაშვილის წერილი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

ლელა საჯაია

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა
კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

